პროექტი

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**განკარგულება №**

**2017 წლის ----------**

**დ. ჩოხატაური**

**,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვარის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1] მუხლის თანახმად

საკრებულომ დაადგინა:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვარის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.
2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვარის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.
3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**პროექტი მოამზადა:** **თამარ ახალაძე**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს

# გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვარის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

**ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:**

**ა.ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:** დადგენილების პროექტის მიღება განაპირობა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივმა დასკვნამ (27.02.2017 N47) ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვარის №1 დადგენილებაზე“.

**ა.ბ) დადგენილების პროექტის მიღების მიზანი:** დადგენილების პროექტის მიღების მიზანია აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილების შეტანა და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

**ბ)დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:** დადგენილების პროექტის მიღება  არ არის დაკავშირებული დამატებითი ხარჯებით დაფინანსებასთან.

**ბ.ბ) დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:** დადგენილების პროექტის მიღება  არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ)დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:** დადგენილების პროექტის მიღება  არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) მუნიციპალიტეტის ახალი ფინანსური ვალდებულებები:** დადგენილების პროექტის მიღება არ იწვევს მუნიციპალიტეტის მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

**გ) დადგენილების პროექტის ინიციატორი:**

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია.

**დ) დადგენილების პროექტის ავტორი:**  პროექტის ავტორია მუნიციპალიტეტის საკრებულოს წამყვანი სპეციალისტი სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში თამარ ახალაძე.

**ე) სხდომაზე მომხსენებელი:**

სხდომაზე მომხსენებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მარინე ბერაძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა
და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: მარინე ბერაძე

# დადგენილება

## დ. ჩოხატაური

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვარის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**

ცვლილება შევიდეს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვარის №1 დადგენილებაში“ (www.matsne.gov.ge; 06/02/2017, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.114.016327).

**მუხლი 2.**

**1**. დადგენილების დანართის მე-3 მუხლში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 3

1.საკრებულოს აპარატის ხელმძღვანელობა:

ა)აპარატის უფროსი;

ბ)განყოფილების უფროსი;

გ) საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე

**2**. დადგენილების დანართის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დ) შეიმუშავებს საკრებულოს აპარატის შრომის შინაგანაწესს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და წარუდგენს დასამტკიცებლად საკრებულოს თავმჯდომარეს;

**3**.დადგენილების დანართის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას.

**4.**დადგენილების დანართის მე-5 მუხლში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 5

1. საკრებულოს აპარატის განყოფილების უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს განყოფილების საქმიანობას და პასუხისმგებელია დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე;

ბ) ხელს აწერს განყოფილების კომპეტენციას მიკუთვნებულ სამსახურებრივ დოკუმენტაციას;

გ) სამსახურებრივ კორესპონდენციას უნაწილებს თავის დაქვემდებარებაში მყოფ მოსამსახურეებს და უზრუნველყოფს მისი შესრულების კონტროლს;

დ) უფლებამოსილია განყოფილების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია და დოკუმენტაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს თავის დაქვემდებარებაში მყოფ მოსამსახურეთა კანდიდატურებს მათი წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შეფარდების მიზნით;

ვ) ახორციელებს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

**5**. დადგენილების დანართის მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 8

1.საკრებულოს აპარატის განყოფილებებია:

ა) სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება;

ბ) საორგანიზაციო, საკადრო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება;

გ) საოქმო და სამდივნო მომსახურების განყოფილება;

**მუხლი 3.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარ:** **ზაალ მამალაძე**

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვარის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვარის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტებთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულო და თანამდებობის პირები საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემენ შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება, ხოლო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბერის №46 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტთან, დადგენილების პროექტი ასევე შესაბამისობაშია ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტთან, რომლის თანახმადაც ნორმატიულ აქტში ცვლილების (ცვლილების (ცვლილებების) ან/და დამატების (დამატებების) ) შეტანა ხდება მხოლოდ იმავე სახის ნორმატიული აქტით. იგი იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც შეტანილ იქნა ცვლილება.

საკრებულოს აღნიშნული პროექტი მტკიცდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტით - საკრებულოს დადგენილებით.

წამყვანი სპეციალისტი სამართლებრივი აქტების პროექტების

მომზადებისა და ექსპერტიზის საკითხებში: მარიტა მგალობლიშვილი.